



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2020 წლის 5 მარტი

№ 31/04

თბილისი

### გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების სახელმძღვანელო თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.** ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კობა გვენეტაძე

## გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების სახელმძღვანელო

### თავი I - საგანი, სფერო და ტერმინები

#### მუხლი 1. სახელმძღვანელოს მიზანი, საგანი და სფერო

1. სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის N253/04 ბრძანებით დამტკიცებული „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების“ (შემდგომში - „დებულება“) შესაბამისად და მისი მიზანია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის (შემდგომში - „პროვაიდერი“) მიერ გადახდის ოპერაციის შესრულების დროს გადამხდელის ან/და მიმღების შესახებ არასრული ინფორმაციის გამოვლენისათვის მისაღები ზომების და იმ პროცედურების შემუშავება, რომლებიც მათ უნდა დანერგონ იმ გადარიცხვის სამართავად, რომელიც სრულად არ მოიცავს ამ დებულებით განსაზღვრულ გადარიცხვის თანმხლებ ინფორმაციას. პროვაიდერების მიერ ზემოხსენებული დებულების მოთხოვნების შესრულების შემოწმებისას, საქართველოს ეროვნული ბანკი დებულებასთან ერთად ხელმძღვანელობს ამ სახელმძღვანელოთი.
2. მოცემული სახელმძღვანელოს ადრესატია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.
3. ამ სახელმძღვანელოში:
  - ა) განსაზღვრულია ფაქტორები, რომლებიც პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ უნდა იქნეს გათვალისწინებული პროცედურების შექმნისა და დანერგვის დროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცედურების ეფექტიანობა. აღნიშნული პროცედურებით შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი გადარიცხვების გამოვლენა და მართვა, რომლებიც გადამხდელის ან/და მიმღების შესახებ არ შეიცავს ან არასრულად შეიცავს დებულებით მოთხოვნილ სავალდებულო ინფორმაციას;
  - ბ) დაზუსტებულია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა, რათა მართოს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რისკი, როდესაც სავალდებულო ინფორმაცია გადამხდელზე ან/და მიმღებზე არასრულია.
4. ამ სახელმძღვანელოში აღწერილი ფაქტორები და ზომები არ არის ამომწურავი. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა საჭიროებისამებრ უნდა გაითვალისწინოს და პროცედურებში ასახოს სხვა ფაქტორები და ზომებიც.
5. ამ სახელმძღვანელოსთან ერთად პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა იხელმძღვანელოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ

შემუშავებული სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

სახელმძღვანელოში მითითებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და დებულებაში გამოყენებულ და განმარტებულ ტერმინებს. ამასთანავე, სახელმძღვანელოს მიზნებისთვის ქვემოთ აღნიშნულ ტერმინებს ენიჭება შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) „რისკი“ - წარმოადგენს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების ხდომილების ალბათობის და გავლენის ერთობლიობას. ML/TF რისკი წარმოადგენს სამი ფაქტორის გაანალიზების შედეგს: საფრთხე (პირი, საქმიანობა ან ობიექტი, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს, როგორც ანგარიშვალდებული ანგარიშვალდებული პირის რეპუტაციას, ისე სახელმწიფოს და საზოგადოებას), მოწყვლადობა (სისუსტე AML/CFT შიდა კონტროლის სისტემაში/მექანიზმებში) და შედეგი (გავლენა/ზიანი, რაც შეიძლება გამოიწვიოს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის რეალიზებამ);
- ბ) „რისკის ფაქტორი“ - მახასიათებელი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მახასიათებლებთან ერთობლიობაში ზრდის ML/TF რისკს, გამოწვეულს ცალკეული საქმიანი ურთიერთობით ან ერთჯერადი ოპერაციით;
- გ) „რისკზე დაფუძნებული მიდგომა“ - მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ანგარიშვალდებული პირები ადგენენ და აფასებენ იმ ML/TF რისკებს, რომლის წინაშეც ისინი დგანან და მათ სამართავად იყენებენ რისკის შესაბამის და პროპორციულ ზომებს;
- დ) „არასრული ინფორმაცია“ - დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაცია გადამხდელის ან მიმღების შესახებ, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან შეუსაბამო სიმბოლოებითაა წარმოდგენილი;
- ე) „დროის რეალურ რეჟიმში მონიტორინგი“ - მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება:
  - ე.ა) მიმღების პროვაიდერთან მიმღების ანგარიშზე თანხის დაკრედიტებამდე;
  - ე.ბ) მიმღები პროვაიდერის მიერ მიმღებისთვის თანხის ხელმისაწვდომობამდე, როდესაც მიმღებს მიმღების პროვაიდერთან არ აქვს ანგარიში, ან
  - ე.გ) შუამავალი პროვაიდერის მიერ გადამხდელის პროვაიდერისგან ან სხვა შუამავალი პროვაიდერისგან მიღებული თანხის გადარიცხვამდე;
- ვ) „შემდგომი მონიტორინგი“ - მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება:
  - ვ.ა) მიმღების პროვაიდერთან მიმღების ანგარიშზე თანხის დაკრედიტების შემდგომ;
  - ვ.ბ) მიმღები პროვაიდერის მიერ მიმღებისთვის თანხის ხელმისაწვდომობის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ თანხის გადარიცხვის შემდგომ, როდესაც მიმღებს მიმღების პროვაიდერთან არ აქვს ანგარიში, ან
  - ვ.გ) შუამავალი პროვაიდერის მიერ გადამხდელის პროვაიდერისგან ან სხვა შუამავალი პროვაიდერისგან მიღებული თანხის გადარიცხვის შემდგომ, როცა პროვაიდერი შუამავალი პროვაიდერია.

## თავი II – არასრული თანმხლები ინფორმაციის გამოვლენა და ასეთ შემთხვევაში გადარიცხვების მართვა

### მუხლი 3. დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენა

პროვაიდერი ვალდებულია თითოეული გადარიცხვისთვის დაადგინოს, მოქმედებს ის როგორც გადამხდელის პროვაიდერი, მიმღების პროვაიდერი თუ შუამავალი პროვაიდერი. აღნიშნულით განისაზღვრება თუ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს გადარიცხვა და რა ნაბიჯები უნდა გადადგას პროვაიდერმა ან შუამავალმა პროვაიდერმა დებულებასთან შესაბამისობის მისაღწევად.

### მუხლი 4. დებულებით განსაზღვრული გამონაკლისები და მოთხოვნებისგან გათავისუფლება

1. პროვაიდერის და შუამავალი პროვაიდერის საქმიანობა, გარდა დებულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა და დადგენილი მოთხოვნებისგან გათავისუფლებისა, უნდა შეესაბამებოდეს დებულების პირობებს ყველა იმ გადარიცხვასთან დაკავშირებით, რომელიც ნაწილობრივ მაინც განხორციელდა ელექტრონულად (მაგ. თვითმომსახურების კიოსკით განხორციელებული გადარიცხვა), მიუხედავად გამოყენებული შეტყობინებების გაცვლის თუ საგადახდო სისტემებისა.
2. იმისათვის, რომ პროვაიდერზე და შუამავალ პროვაიდერზე გავრცელდეს გამონაკლისები და/ან მათი საქმიანობა გათავისუფლებულ იქნეს მოთხოვნებისგან, მათ დანერგილი უნდა ჰქონდეთ სისტემები და კონტროლის მექანიზმები რათა დარწმუნდნენ, რომ გამონაკლისებისა და მოთხოვნებისგან გათავისუფლების პირობები დაკმაყოფილებულია. თუ პროვაიდერი და შუამავალი პროვაიდერი ვერ უზრუნველყოფს ამ გამონაკლისებისა და მოთხოვნებისგან გათავისუფლების პირობების დაკმაყოფილების დადგენას, მაშინ მათ უნდა იმოქმედონ დებულების შესაბამისად ყველა გადარიცხვასთან მიმართებაში.

### მუხლი 5. დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებით სარგებლობა

1. დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებით სარგებლობისთვის:
  - ა) მიმღების პროვაიდერს უნდა შეეძლოს იმის დადგენა, არის თუ არა გადამხდელის ან/და შუამავალი პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; და
  - ბ) შუამავალ პროვაიდერს უნდა შეეძლოს იმის დადგენა, არის თუ არა გადამხდელის პროვაიდერი და მიმღების პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

## 2. დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი:

ა) დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებისას პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს, რომ გადარიცხვას თან ახლდეს ბარათის, ან სხვა ინსტრუმენტის ან ციფრული/ინფორმაციულ ტექნოლოგიური მოწყობილობის ნომერი, მაგალითად, ბარათის ნომერი (PAN), რომელიც იძლევა გადამხდელის დადგენის/მიკვლევადობის საშუალებას.

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ბარათის, სხვა ინსტრუმენტის ან ციფრული ან ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია როგორც ფიზიკურ პირებს შორის გადარიცხვებისთვის, ასევე საქონლისა თუ მომსახურების ღირებულების გადასახდელად, პროვაიდერსა და შუამავალ პროვაიდერს უფლება აქვს, აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძლებს იმის დადგენას, რომ ოპერაცია წარმოადგენს საქონლის ან მომსახურების შეძენის ღირებულების გადახდას და არა ფიზიკურ პირებს შორის გადარიცხვას. ფიზიკურ პირებს შორის გადარიცხვებზე მოქმედებს დებულების მოთხოვნები.

## 3. დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი:

ა) დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების გასაგრძელებლად, რომლებიც ეხება გადარიცხვებს არაუმეტეს 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარის ან 3000 ლარის ოდენობით, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, პროვაიდერსა და შუამავალ პროვაიდერს უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან დაკავშირებული გადარიცხვების გამოვლენის პოლიტიკა და პროცედურა. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა გადარიცხვები ერთმანეთთან დაკავშირებულად უნდა მიიჩნიოს სულ მცირე შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა.ა) გადარიცხვები ხდება ერთიდაიმავე ანგარიშიდან ერთიდაიმავე ანგარიშზე. თუ ანგარიშების გამოყენება არ ხდება, მაშინ ისეთი გადარიცხვები, რომლებშიც ერთიდაიმავე გადამხდელი და მიმღებია;

ა.ბ) „ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადარიცხვები ხორციელდება პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ დროის გონივრულ, მოკლე ვადაში, რომელიც მათი საქმიანობის წინაშე მდგარი ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის თანაზომადია.

ბ) პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა განსაზღვროს სხვა სცენარები, რომელმაც შეიძლება წარმოიქმნას დაკავშირებული ტრანზაქციები და, ასეთ შემთხვევაში, ასახოს ისინი თავის პოლიტიკასა და პროცედურებში.

## მუხლი 6. პროპორციულობა და მთელი საქმიანობის მომცველი რისკების შეფასება

1. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა დებულებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად უნდა შეიმუშაოს და იქონიოს ეფექტური პოლიტიკა და პროცედურები. ეს პოლიტიკა და პროცედურები უნდა იყოს პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის საქმიანობის, მისი მასშტაბისა და სირთულის პროპორციული და ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების იმ რისკის თანაზომიერი, რომლის წინაშეც პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის საქმიანობა დგას შემდეგიდან გამომდინარე:

- ა) მომხმარებლების ტიპი, რომელსაც ის ემსახურება;
- ბ) იმ პროდუქტისა და მომსახურებების სახეობა რომელსაც ის აწვდის;
- გ) ქვეყნები რომლებშიც ის ახორციელებს გადარიცხვას და საიდანაც იღებს ჩარიცხვას;
- დ) მიწოდების არხები, რომელთაც ის იყენებს;
- ე) იმ პროვაიდერებისა და შუამავალი პროვაიდერების რაოდენობა და ადგილსამყოფელი რომლებიც რეგულარულად ვერ ახერხებს გადამხდელსა და მიმღებზე სავალდებულო ინფორმაციის მიწოდებას;
- ვ) იმ პროვაიდერებისა და შუამავალი პროვაიდერების რეპუტაცია, რომელთანაც საქმიან ურთიერთობაში იმყოფება;
- ზ) გადახდის ჯაჭვის კომპლექსურობა, რომელშიც პროვაიდერი ერთვება მისი საქმიანობის მოდელიდან გამომდინარე;
- თ) მის მიერ დამუშავებული ოპერაციების რაოდენობა და თანხა.

2. წარმოშობილი ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასებისას, პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა იხელმძღვანელოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შემუშავებული სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

## მუხლი 7. პოლიტიკა და პროცედურები

1. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი პოლიტიკა და პროცედურები ნათლად აყალიბებდეს ჩამოთვლილს:

- ა) თუ რომელ კრიტერიუმს იყენებენ იმის დასადგენად, ვრცელდება თუ არა დებულება მათ მომსახურებებსა და საგადახდო ინსტრუმენტებზე;
- ბ) მათი მომსახურებებიდან და საგადახდო ინსტრუმენტებიდან რომელზე ვრცელდება დებულება და რომელზე - არა;
- გ) რომელი გადარიცხვების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს დროის რეალურ რეჟიმში და რომელზე - ტრანზაქციის დასრულების შემდგომი და რატომ (აღნიშნულის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს გადარიცხვების ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკი);
- დ) იმ პერსონალის ვალდებულებებს, რომლებიც დაადგენენ, რომ დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაცია არასრულია და ასეთ შემთხვევაში მათ მიერ განსახორციელებელი ქმედებები;

ე) გადარიცხვასთან დაკავშირებული რომელი ინფორმაცია უნდა იყოს ჩაწერილი, როგორ უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის ჩაწერა და სად;

ვ) დამტკიცებულია პროვაიდერისა თუ შუამავალი პროვაიდერის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ;

ზ) ხელმისაწვდომია პერსონალის ყველა შესაბამისი წევრისათვის, გადარიცხვების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირების ჩათვლით; პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს, რომ შესაბამისმა პერსონალმა გაიაროს სათანადო სწავლება აღნიშნული პოლიტიკისა და პროცედურების გამოყენების შესახებ;

თ) რეგულარულად გადაიხედება, საჭიროებისამებრ უმჯობესდება და ახლდება. დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, პროვაიდერი ეყრდნობა არსებულ პოლიტიკასა და პროცედურებს.

- ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. პროვაიდერისა და შუამავალი პროვაიდერის შიდა პოლიტიკა ფულის გათეთრების რისკების კონტროლის მიზნით ასევე უნდა მოიცავდეს სხვა პროცედურებსაც.

### თავი III: მიმღების პროვაიდერის და შუამავალი პროვაიდერის ვალდებულებები

**მუხლი 8. დაუშვებელი სიმბოლოების ან შეტანილი ინფორმაციის არსებობის შემოწმება (დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი)**

- პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა აწარმოოს თანხების გადარიცხვის მონიტორინგი იმ მიზნით, რომ შეამოწმოს და დაადგინოს შესაბამეობა თუ არა გადამხდელისა და მიმღების შესახებ ინფორმაციის შესატანად გამოყენებული სიმბოლოები და სხვა მონაცემები იმ შეტყობინებების გაცვლისა ან საგადახდო სისტემის სტანდარტებს, რომელიც გადარიცხვის დასამუშავებლად იყო გამოყენებული.
- პროვაიდერსა და შუამავალ პროვაიდერს შეუძლია ჩათვალოს რომ ის აკმაყოფილებს დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, თუ მას საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე შეუძლია დაასაბუთოს, რომ მას ესმის შეტყობინების გაცვლის ან საგადახდო სისტემის ვალიდაციის წესები და რომ სისტემის სტანდარტები:
  - ა) შეიცავს ყველა ველს, რომელიც აუცილებელია დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციის მისაღებად.

მაგალითად, პროვაიდერის და შუამავალი პროვაიდერის საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (IBAN), ან საგადახდო ბარათით გადარიცხვის განხორციელების დროს, ამ ბარათის ნომერი (მაგალითისთვის: PAN) ან სხვა რეფერენსი, შეუძლია ჩათვალოს ანგარიშის ნომრად, იმ შემთხვევაში, თუ ის გადარიცხვის დროს გადამხდელისა და მიმღების დადგენის/მიკვლევადობის საშუალებას იძლევა;

ბ) ავტომატურად ზღუდავს ისეთი გადარიცხვების გაგზავნას ან მიღებას, როდესაც პირის დასახელების ველში ხდება დაუშვებელი სიმბოლოების ან სხვა მონაცემების გამოვლენა და

გ) მონიშნავს უარყოფილ გადარიცხვებს არა ავტომატური საშუალებებით განხილვისა და დამუშავებისთვის.

3. როდესაც პროვაიდერისა თუ შუამავალი პროვაიდერის შეტყობინებების გაცვლის ან საგადახდო სისტემა არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ კრიტერიუმებს, პროვაიდერმა ან შუამავალმა პროვაიდერმა ამ ხარვეზების შემცირებისთვის უნდა დანერგოს კონტროლის მექანიზმები.

#### თავი VI - არასრული ინფორმაციის შემოწმება

(დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი)

#### მუხლი 9. ეფექტური პროცედურები

1. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა დანერგოს ეფექტური პროცედურები იმის დასადგენად, სრულია თუ არა გადამხდელის ან მიმღების შესახებ დებულებით (კერძოდ, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) მოთხოვნილი ინფორმაცია.
2. პროცედურები ეფექტურია, თუ აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
  - ა) პროვაიდერს ან შუამავალ პროვაიდერს ამლევს საშუალებას გამოავლინოს უსარგებლო ინფორმაცია;
  - ბ) ხორციელდება მონიტორინგი როგორც დროის რეალურ რეჟიმში, ასევე შემდგომი მონიტორინგის;
  - გ) პროვაიდერს/შუამავალი პროვაიდერს ატყობინებს მაღალი რისკის მაჩვენებლების შესახებ.

#### მუხლი 10. უსარგებლო ინფორმაცია

1. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უსარგებლო ინფორმაცია უნდა ჩათვალოს არასრულ ინფორმაციად. უსარგებლო ინფორმაციის მაგალითებია შემთხვევითი სიმბოლოების ერთობლიობა ან (მაგ.: „xxxxx“ ან „აბგდეფზ“, „ABCDEFG“) ან მითითებები, რომლებიც გარკვევით არ გადმოსცემს აზრს (მაგ.: „An Other“ ან „My Customer“), მაშინაც კი, როდესაც ეს ინფორმაცია შეყვანილია იმ სიმბოლოებისა და სხვა მონაცემების გამოყენებით, რომელიც შეტყობინებების გაცვლის ან საგადახდო სისტემის სტანდარტების შესაბამისია.
2. იმ შემთხვევაში, თუ პროვაიდერი და შუამავალი პროვაიდერი იყენებს ხშირად აღმოჩენილ უსარგებლო ტერმინებს, მათ უნდა უზრუნველყონ ამ სიის პერიოდული გადახედვა მონიტორინგის სისტემის განახლების მიზნისთვის. მსგავს შემთხვევებში, არ არის მოლოდინი, რომ უსარგებლო ინფორმაციის გამოსავლენად პროვაიდერი და



შუამავალი პროვაიდერი არა-ავტომატური საშუალებებით (მანუალურად) შეამოწმებს ოპერაციებს.

## მუხლი 11. მონიტორინგი

1. პროვაიდერისა და შუამავალი პროვაიდერის მიერ მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოცემული პრინციპების დაცვით:
  - ა) პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა საეჭვო ტრანზაქციის შემთხვევაში უნდა გადაამოწმოს ინფორმაციის სისრულე;
  - ბ) პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა თანხის ჩარიცხვამდე შეამოწმოს მაღალი რისკის კლიენტების ტრანზაქციები და არასრული ინფორმაციის შემთხვევაში, მოახდინოს ინფორმაციის გამოთხოვა;
  - გ) პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა, თანხის ჩარიცხვამდე უნდა შეამოწმოს ინფორმაციის სისრულე, როდესაც თანხის ჩარიცხვა ხდება მაღალი რისკის იურისდიქციიდან და არასრული ინფორმაციის შემთხვევაში, მოახდინოს ინფორმაციის გამოთხოვა;
  - დ) საშუალო და დაბალი რისკის კლიენტების შემთხვევაში შერჩევით გადაამოწმოს გარკვეული რაოდენობის ტრანზაქციები. შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს გადამხდელის პროვაიდერის AML/CFT შესაბამისობის დონე და რეპუტაცია.
2. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ სახელმძღვანელოს მე-6 მუხლში მითითებული რისკის ფაქტორებზე, რათა უზრუნველყოს მათ წინაშე არსებული ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მონიტორინგი, მათ შორის, შემდგომი და დროის რეალურ რეჟიმში მონიტორინგის დონე და სიხშირე. ამ პროცესში პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა განსაზღვროს გადარიცხვასთან დაკავშირებული მაღალი რისკის ფაქტორები ან მათი კომბინაცია, რომლებიც ყოველთვის გამოიწვევს/აინიცირებს დროის რეალურ რეჟიმში მონიტორინგს ან შემდგომ მიზნობრივ გადახედვას (ასევე, იხ. ამ სახელმძღვანელოს მე-12 მუხლი). გარკვეულ (საყურადღებო) შემთხვევებში, გადარიცხვების მონიტორინგი ყოველთვის დროის რეალურ რეჟიმში უნდა მოხდეს.
3. ამ სახელმძღვანელოს მე-11 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დროის რეალურ რეჟიმში მონიტორინგისა და შემდგომი მიზნობრივი მონიტორინგის გარდა, პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა რეგულარულად უნდა განახორციელოს ყველა დამუშავებული გადარიცხვიდან შემთხვევით შერჩეულის გადახედავა/შემოწმება. პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს შემთხვევით შერჩეული გადარიცხვების შემოწმების პროცედურის შემუშავება (მათ შორის პერიოდულობის განსაზღვრა) და მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება, ასევე, მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე დანერგული პროცესების გაუმჯობესება.

## მუხლი 12. მაღალი რისკის ინდიკატორები

1. პროვაიდერისა და შუამავალი პროვაიდერის სისტემა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მაღალი რისკის ინდიკატორების ონლაინ ან ოფლაინ რეჟიმში გამოვლენისთანავე

პროვაიდერმა/შუამავალმა პროვაიდერმა უნდა მიიღოს გამაფრთხილებელი შეტყობინება. მაღალი რისკის ინდიკატორები, მათ შორის, მოიცავს:

- ა) გადარიცხვებს, რომლის თანხობრივი მაჩვენებელიც აღემატება კონკრეტულ ლიმიტს. ლიმიტის დადგენისას პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა გაითვალისწინოს სულ მცირე მათ მიერ ჩვეულ რეჟიმში დამუშავებული ოპერაციების (გარიგებების) საშუალო თანხა და კლიენტთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები, რომელიც მათი კონკრეტული საქმიანობის მოდელიდან გამომდინარე მიიჩნევა უჩვეულოდ დიდ ტრანზაქციად;
- ბ) გადარიცხვებს, რომლებშიც გადამხდელის პროვაიდერი ან მიმღების პროვაიდერი დაფუძნებულია მაღალი რისკის იურისდიქციაში. ასეთი ქვეყნების გამოვლენისას, პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის სახელმძღვანელო პრინციპები;
- გ) ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების კუთხით შესაბამისობაზე უარყოფით ჩანაწერებს ტრანზაქციაში მონაწილე მხარეების, ასევე შუამავალი ან გადამხდელის პროვაიდერის შესახებ;
- დ) გადარიცხვებს ისეთი პროვაიდერისა თუ შუამავალი პროვაიდერისგან, რომელიც გაუმართლებელი მიზეზით, განმეორებით არ წარადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას გადამხდელის შესახებ (იხ. ამ სახელმძღვანელოს მე-18 მუხლი), ან გარკვეულ (საყურადღებო) შემთხვევებში ისეთი პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერისგან, რომლის შესახებაც ცნობილია, რომ მან გაუმართლებელი მიზეზით ვერ შეძლო მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენა გადამხდელსა თუ მიმღებზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულს არ ჰქონოდა განმეორებითი ხასიათი;
- ე) გადარიცხვებს, რომლებშიც გადამხდელის ან მიმღების სახელი/დასახელება არასრულია.

**მუხლი 13.** არასრული ინფორმაციის ან დაუშვებელი სიმბოლოებისა და სხვა მონაცემების გამოყენების პირობებში გადარიცხვების მართვა (დებულების მე-7 მუხლი)

1. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა დანერგოს რისკზე დაფუძნებული ეფექტური პროცედურები, რათა განსაზღვროს მიღებული გადარიცხვების შესრულების, უკან დაბრუნების ან მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის/მიმღებისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შეჩერების საკითხები, როდესაც გადამხდელის ან მიმღების შესახებ სავალდებულო ინფორმაცია არასრულია ან მითითებულია დაუშვებელი სიმბოლოები ან სხვა მონაცემები.
2. იმის დასადგენად, ეკისრება თუ არა პროვაიდერს და შუამავალ პროვაიდერს გადარიცხვის შესრულების, უკან დაბრუნების ან მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის/მიმღებისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შეჩერების ვალდებულება დებულების მე-7 მუხლიდან გამომდინარე, პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე უნდა გაითვალისწინოს ამ გადარიცხვასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკი. კერძოდ, პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) წარმოშობს თუ არა არასრული ინფორმაცია ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საფრთხეს; და

ბ) გამოვლინდა თუ არა ერთი ან მეტი მაღალი რისკის მქონე ისეთი ინდიკატორი, რომლის საფუძველზეც შეიძლება დადგინდეს, რომ ოპერაცია შეიცავს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკს ან იძლევა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან მიმართებაში საფუძველიან ეჭვს (იხ. ამ სახელმძღვანელოს მე-12 მუხლი).

3. იმ შემთხვევაში, როდესაც პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი ამ სახელმძღვანელოს მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით მიიღებს რისკის შესაბამის გადაწყვეტილებას გადარიცხვების შემდგომი მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, მან ამ სახელმძღვანელოს მე-16 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით უნდა იხელმძღვანელოს.

#### **მუხლი 14. პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ გადარიცხვის უკან დაბრუნება**

თუ პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი გადაწყვეტს გადარიცხვის უკან დაბრუნებას, მას შეუძლია არ მოითხოვოს ინფორმაცია, რომლის არარსებობის/ნაწილობრივ არსებობის ან დაუშვებელი სიმბოლოების ან სხვა მონაცემების არსებობის გამოც არასრულად იქნა მიჩნეული. თუმცა პროვაიდერმა/შუამავალმა პროვაიდერმა გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერს უნდა აცნობოს გადარიცხვის უკან დაბრუნების მიზეზი.

#### **მუხლი 15. მიმღების პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის/მიმღებისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შეჩერება**

1. თუ პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი თავად მიიღებს გადაწყვეტილებას მიმღების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის/მიმღებისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შეჩერებას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერს და გადამხდელის ან მიმღების შესახებ მოითხოვოს ის ინფორმაცია, რომლის არარსებობის/ნაწილობრივად არსებობის ან დაუშვებელი სიმბოლოების არსებობის გამოც ეს ინფორმაცია არასრულად იქნა მიჩნეული ან მოითხოვოს ხსენებული ინფორმაციის დასაშვები სიმბოლოებით ან სხვა მონაცემებით მიწოდება.
2. პროვაიდერმა ან შუამავალმა პროვაიდერმა გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერს იმ ინფორმაციის მოწოდებისათვის, რომლის არარსებობის/ნაწილობრივად არსებობის ან დაუშვებელი სიმბოლოების არსებობის გამოც ეს ინფორმაცია არასრულად იქნა მიჩნეული, უნდა განუსაზღვროს გონივრული ვადა. ასეთი ვადა, ჩვეულებრივ, არ უნდა აჭარბებდეს სამ სამუშაო დღეს ქვეყნის შიგნით განხორციელებული გადარიცხვებისთვის, ხუთ სამუშაო დღეს ქვეყნის გარედან მიღებული გადარიცხვებისთვის. ხოლო კომპლექსური საგადახდო არხებისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უფრო დიდი ვადები.

3. პროვაიდერს ან შუამავალ პროვაიდერს შეუძლია გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერისთვის შეხსენების გაგზავნა იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება არ ხდება. ამ შეტყობინებით პროვაიდერს ან შუამავალ პროვაიდერს შეუძლია, გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერს შეახსენოს რომ, მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, ის შიდა მონიტორინგის მიზნებისთვის შესაძლოა დაკვალიფიცირდეს როგორც მაღალი რისკის (ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულების განმეორებით დამრღვევი) პროვაიდერი.
4. მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, პროვაიდერმა ან შუამავალმა პროვაიდერმა, რისკზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, უნდა განახორციელოს შემდეგი:
  - ა) გადაწყვიტოს, უკან დააბრუნოს თუ შეასრულოს გადარიცხვა;
  - ბ) გადაწყვიტოს, მიიჩნიოს თუ არა გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა საყურადღებოდ; და
  - გ) დაგეგმოს გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერის მიმართ ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო მიზნებისთვის გასატარებელი მომავალი ქმედებები.
5. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ყველა ქმედებისა და/ან უმოქმედობის მიზეზი დოკუმენტურად უნდა ასახოს და შეინახოს, რათა მოგვიანებით შეძლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება, მათ შორის გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის დებულების და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობის ჩვენება.

#### **მუხლი 16. მიმღების პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ ჩარიცხვის შესრულება**

1. თუ პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი ფულადი სახსრების ჩარიცხვის შემდგომ აღმოაჩენს, რომ სავალდებულო ინფორმაცია წარმოდგენილი იყო არასრულად ან დაუშვებელი სიმბოლოებით, მან გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერს გადარიცხვის შესრულებამდე ან მის შემდგომ უნდა მოსთხოვოს გადამხდელის ან მიმღების შესახებ იმ ინფორმაციის მიწოდება, რის გამოც თანმხლები ინფორმაცია არასრულად იქნა მიჩნეული ან/და მოსთხოვოს ზემოთ ხსენებული ინფორმაციის დასაშვები სიმბოლოებით და სხვა მონაცემებით მიწოდება.
2. პროვაიდერმა ან შუამავალმა პროვაიდერმა, რომელიც მონიტორინგის დროს დაადგენს, რომ სავალდებულო ინფორმაცია არასრულია, მაგრამ ყველა შესაბამისი რისკის გათვალისწინებით გადაწყვეტს ჩარიცხვის შესრულებას/თანხის მიმღებისთვის ხელმოისაწვდომობას, დოკუმენტურად უნდა ასახოს ამ ჩარიცხვის განხორციელების გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

3. ინფორმაციის მოთხოვნის დროს პროვაიდერმა ან შუამავალმა პროვაიდერმა უნდა გაითვალისწინოს ამ სახელმძღვანელოს მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.
4. როდესაც პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ დადგენილ ვადაში არ ხდება მოთხოვნილი ინფორმაციის მიღება, ამ შემთხვევაში მათ ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნებისთვის თავიანთი რისკზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად უნდა განიხილონ გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერის მიმართ განსახორციელებელი ქმედებები.
5. პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია განახორციელოს ყველა ქმედების ან/და უმოქმედობის მიზეზის დოკუმენტირება და ჩაწერა, რათა მომავალში ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შეძლოს შესაბამისი რეაგირება.

#### **მუხლი 17. საექვო ოპერაციების იდენტიფიკაცია**

1. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა საქართველოს კანონმდებლობის და მათი საკუთარი ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ შიდა პოლიტიკითა და პროცედურებით დადგენილი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით უნდა შეაფასოს, არის თუ არა გადარიცხვა საყურადღებო.
2. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სავალდებულო ინფორმაციის არასრული ან დაუშვებელი სიმბოლოებით წარმოდგენა შესაძლოა არ იძლეოდეს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების ექვის საფუძველს. იმის განსაზღვრისას, გადარიცხვა ბადებს თუ არა ექვს, პროვაიდერმა ან შუამავალმა პროვაიდერმა მთლიანობაში უნდა განიხილოს გადარიცხვასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების მისთვის ცნობილი ყველა რისკის ფაქტორი (მათ შორის, ამ სახელმძღვანელოს მე-12 მუხლი) და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გადარიცხვას, რომელიც სავარაუდოდ ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების უფრო მაღალ რისკს შეიცავს.
3. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა შეძლოს იმის ჩვენება, რომ ისინი ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან არიან შესაბამისობაში.

#### **მუხლი 18. პროვაიდერების და შუამავალი პროვაიდერების მიერ ვალდებულებების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მისაღები ზომები (დებულების მე-7 მუხლი)**

როდის ჩაითვლება, რომ პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი „განმეორებითად არღვევს“ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას?

1. პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა უნდა დანერგოს იმ პროვაიდერისა და შუამავალი პროვაიდერის გამოვლენის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც განმეორებით/რეგულარულად არღვევენ გადამხდელისა ან მიმღების თაობაზე სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

2. იმისათვის, რომ პროვაიდერმა და შუამავალმა პროვაიდერმა შეძლოს იმ პროვაიდერის თუ შუამავალი პროვაიდერის დადგენა, რომელიც „განმეორებით დამრღვევად“ უნდა იქნას მიჩნეული, მათ უნდა შეინახონ ყველა იმ გადარიცხვის ჩანაწერი რომელიც შეიცავს არასრულ ინფორმაციას.
3. პროვაიდერსა თუ შუამავალ პროვაიდერს შეუძლია, პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი „განმეორებით დამრღვევად“ მიიჩნიოს სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე მან უნდა გაითვალისწინოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების კომბინაცია.
4. პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის განმეორებით დამრღვევად მიჩნევისთვის რაოდენობრივი კრიტერიუმები მოიცავს შემდეგს:
  - ა) დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტული პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ არასრული თანმხლები ინფორმაციით გაგზავნილი გადარიცხვების პროცენტულ მაჩვენებელს; და
  - ბ) იმ მოთხოვნების პროცენტულ მაჩვენებელს, რომელსაც განსაზღვრულ ვადაში პასუხი არ გაეცა ან არასათანადოდ გაეცა პასუხი;
5. პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის განმეორებით დამრღვევად მიჩნევისთვის ხარისხობრივი კრიტერიუმები მოიცავს შემდეგს:
  - ა) თანამშრომლობის დონეს იმ პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მხრიდან, რომლებსაც მოეთხოვათ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომლის გამოც თანმხლები ინფორმაცია არასრულად იქნა მიჩნეული; და
  - ბ) არასრული ინფორმაციის ტიპს, (მაგ. იხ. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

#### მუხლი 19. განსახორციელებელი ქმედებები

1. ქმედებები, რომლებიც მიმღების ან შუამავალმა პროვაიდერმა უნდა განხორციელოს სხვა პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის მიერ დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნის განმეორებით დარღვევისას, უნდა იყოს რისკზე დაფუძნებული და შეიძლება შეიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს ან რამდენიმეს (თუმცა, შესაძლებელია სხვაგვარი ქმედებებიც):
  - ა) გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერის გაფრთხილებას, რაც მოიცავს პროვაიდერის ან შუამავალი პროვაიდერის ინფორმირებას იმ ქმედებების შესახებ, რომელიც განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პროვაიდერი კვლავ განაგრძობს დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნის დარღვევას;
  - ბ) პროვაიდერის მიერ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნის განმეორებითი შეუსრულებლობა ან/და ვალდებულებების შესრულებისადმი

მიდგომა/დამოკიდებულების გათვალისწინებას ამავე პროვაიდერის მიმართ ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასებაში. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ამ პროვაიდერისგან მიღებული ტრანზაქციების რეგულარული მონიტორინგი.

გ) გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერის დამატებით გაფრთხილებას, შემდგომში მის მიერ გაგზავნილი ყველა გადარიცხვის უარყოფასთან დაკავშირებით;

დ) დამრღვევ პროვაიდერთან საქმიანი ურთიერთობის შეზღუდვას ან/და შეწყვეტას.

2. საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადახდის ჯაჭვში მონაწილე წინა პროვაიდერი არის სხვა ქვეყანაში ლიცენზირებული ბანკი, პროვაიდერი ან შუამავალი პროვაიდერი, მიმღების პროვაიდერმა უნდა განიხილოს, შესაძლებელია თუ არა სხვა გზით რისკების მართვა, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობის განსაზღვრული გაძლიერებული მონიტორინგის ღონისძიებების გამოყენებით.

#### **მუხლი 20. შუამავალი პროვაიდერის დამატებითი ვალდებულებები**

1. შუამავალმა პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი სისტემებისა და კონტროლის მექანიზმების საშუალებით ის შეასრულებს საკუთარ ვალდებულებას და გადამხდელისა და მიმღების შესახებ ყველა ინფორმაციას გააყოლებს შესაბამის გადარიცხვას. ამ პროცესში შუამავალმა პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა სისტემამ შეძლოს ინფორმაციის სხვა ფორმატში გადაყვანა რაიმე ხარვეზისა და ინფორმაციული დანაკარგის გარეშე.
2. შუამავალმა პროვაიდერმა მხოლოდ ისეთი საგადახდო თუ შეტყობინებების გაცვლის სისტემები უნდა გამოიყენოს, რომელიც იძლევა გადამხდელის ან მიმღების შესახებ სრული ინფორმაციის გადაცემის საშუალებას, მიუხედავად იმისა, მოთხოვნილია თუ არა აღნიშნული ინფორმაცია დებულებით. თუ შიდა საგადახდო სისტემა ზღუდავს სისტემაში გარკვეული ინფორმაციის შეტანას, შუამავალმა პროვაიდერმა მიმღების პროვაიდერისთვის შესაბამისი ინფორმაციის გადაცემის მიზნით უნდა დანერგოს ალტერნატიული მექანიზმები. ასეთი ალტერნატიული მექანიზმები მხოლოდ მოკლე გარდამავალ პერიოდში შეიძლება იქნეს გამოყენებული, ვიდრე მიმდინარეობს შიდა სისტემების მოდიფიცირება (დებულებასა და ამ სახელმძღვანელოსთან შესაბამისობის მიზნით).
3. შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური პროცედურები, რომელთა საშუალებით ის შეამოწმებს გადარიცხვის ოპერაციის შესასრულებლად გამოყენებული შეტყობინების ან საგადახდო სისტემის შესაბამის ველში გადამხდელისა და მიმღების შესახებ ინფორმაცია შეტანილია თუ არა ამ სისტემისთვის მისაღები/შესაბამისი სიმბოლოებით.

#### **მუხლი 21. მიმღების პროვაიდერის დამატებითი ვალდებულებები**

მიმღების პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური პროცედურები, რომელთა საშუალებით ის შეამოწმებს გადარიცხვის ოპერაციის შესასრულებლად გამოყენებული შეტყობინების ან გადახდის და ანგარიშსწორების სისტემის შესაბამის ველში გადამხდელისა და მიმღების შესახებ ინფორმაცია შეტანილია თუ არა ამ სისტემისთვის მისაღები/შესაბამისი სიმბოლოებით.

## **მუხლი 22. მიმღების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება**

1. დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიმღების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებისას, მიმღების პროვაიდერმა მხედველობაში უნდა მიიღოს იმყოფება თუ არა იგი მიმღებთან საქმიან ურთიერთობაში. ასეთი მიმღების მიმართ მან უნდა გამოიყენოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კლიენტის მიმართ გასატარებელი პრევენციული ზომები, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სხვა სახელმძღვანელოები.
2. მიმღების პროვაიდერებს შეუძლიათ, ჩათვალონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ დებულების მე-5 მუხლში მითითებულ ვერიფიკაციის მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ მათ მიმღების ვინაობა გადამოწმებული აქვთ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.